სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ხაბალაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	✓

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	0	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე
თარიღი : 16.09 2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 16 **სექტემბერი** **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ნინო ხაბალაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 18 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ნინო ხაბალაშვილი.**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 4 სექტემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 40 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრთან გათანაბრებული, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, 2005 წელი), სპეციალობით მუშაობის 18 წლიანი გამოცდილება, კერძოდ:

- 2006 - 2009 წლები - თბილისის საქალაქო სასამართლო - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივანი;

- 2009 - 2016 წლები - თბილისის საქალაქო სასამართლო - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე;

- 2015 - 2016 წლები - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი და კურსდამთავრებული.

- 2016 მაისიდან - დღემდე - თბილისის საქალაქო სასამართლო - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე (მთავარი კონსულტანტი).

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატ ნინო ხაბალაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მისი მოსამართლეობის კანდიდატობის შესახებ. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში არ იძებნება. კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: ბინა, 28.55 მ² ფართით, თბილისში. უძრავი

ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი ერთ შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენისათვის, ჯარიმა გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატ ნინო ხაბალაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი ცნობილია დაზარალებულად 2007 წლის 11 იანვარს, სისხლის სამართლის საქმეზე; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს გამოქვეყნენებული აქვს სტატიები:

- არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, ჟურნალი: „თეუსუ" №1, 2009 წელი;

- არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება შრომითი უფლებების დარღვევის დროს, ჟურნალი: „ცხოვრება და კანონი" №18, 2012 წელი.

ნინო ხაბალაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 79/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 9.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *ადმინისტრაციულ სამართალში* ნინო ხაბალაშვილს მეტწილად აქვს თეორიული ცოდნა, იცნობს შესაბამისი კანონმდებლობის მნიშვნელოვან დებულებებს. მეტწილად პრაქტიკაში კარგად იყენებს თეორიულ ცოდნას. მეტ-ნაკლებად სწრაფად შეუძლია მასალის გააზრება. რეკომენდირებულია იმუშაოს ზეპირი გადმოცემის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. ყურადღება უნდა გაამახვილოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობაზე. *სამოქალაქო სამართალში* მუშაობისას შესაფასებელ პირს პრაქტიკული დავალებების შესრულებისას მეტ-ნაკლებად შეუძლია განსაზღვროს არსებული კვლევის მიმართულება, სტაჟირების პერიოდში მას გადაეცემოდა საქმე, სადაც უნდა განესაზღვრა მოთხოვნის საფუძველი, სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები. ძირითადად, მას შეეძლო ფოკუსირება მნიშვნელოვან საკითხზე, თუმცა შეცდომები იყო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისობაში.

მოსაზრებებს აყალიბებს მოკლედ და ლაკონიურად. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. სასურველია გამოიმუშაოს მეტი თავდაჯერებულობა და დამაჯერებლობა ზეპირი ფორმით არგუმენტირებისას. *სისხლის სამართალი* - ვინაიდან სისხლის სამართალი არ არის მისი სპეციალიზაცია, სჭირდება გარკვეული მითითება, თუმცა მითითებიდან გამომდინარე ცდილობდა დავალების სწორად გადაწყვეტას. მეტწილად ლოგიკურად მსჯელობდა და ზოგჯერ უშვებდა შეცდომებს. მის მიერ მომზადებული პროექტები საჭიროებენ შესწორებას და რედაქტირებას. ქმედებების კვალიფიკაციას, როგორც წესი, ახდენს სწორად, თუმცა შეიძლება დაუშვას შეცდომა. მატერიალურ და საპროცესო ნორმებს უმეტესწილად იყენებს სწორად.

ნინო ხაბალაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: „ევროპის საბჭოს და ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს საქმიანობა და გადაწყვეტილებები", „იურიდიული მართლწერა", „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში", „რელაციის ტექნიკა; მტკიცებულებათა შეფასება; მტკიცების ტვირთის განაწილება სამოქალაქო სამართალში", „დისკრიმინაციის თემაზე ეროვნული სტანდარტები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში" და ა.შ.).

ნინო ხაბალაშვილს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით; გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

3. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, შესაბამისად, გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები მის მიერ გაცემულ პასუხებში, კერძოდ: არასრულად ისაუბრა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში აღიარებითი სარჩელების განმასხვავებელ ნიშნებზე, გაუჭირდა მსჯელობა თვითინკრიმინაციის შესახებ,

სრულყოფილად ვერ ჩამოთვალა ის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეუძლია სასამართლოს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს", როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „კანონის" 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი", იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატი" აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია.

<u>შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.</u>

კანდიდატი გამოირჩევა პრინციპულობით და სამართლიანობით, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებელია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

კანდიდატი თავაზიანი და თავმდაბალია, გამოირჩევა სიდინჯით და შესწევს უნარი მართოს თავისი ემოციები, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

კანდიდატი სარგებლობს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაციით, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი ნინო ხაბალაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატმა ძირითადად შეძლო მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

პრეცედენტული სამართლის ცოდნის გამოვლენა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენისას გამოვლენილი შეცდომების/ხარვეზების შემოხვევების და კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შეფასდეს **21 ქულით (მაქსიმალური -25);**

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი, აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილება და შეუძლია გადაწყვეტილებების დასაბუთება.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **22 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სამოქალაქო სამართალში ნინო ხაბალაშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტები არ არის გადატვირთული, არაფრის მთქმელი, უშინაარსო ფრაზებით. წერისას იყენებს გასაგებ ენას, მოსაზრებას აყალიბებს ლაკონურად და დასაბუთებულად, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების შინაარსი და სტრუქტურა გამართულია. შესწევს უნარი საკუთარი პოზიცია გადმოსცეს და დაასაბუთოს ზეპირი ფორმით, ამისთვის იგი იყენებს მარტივ და გასაგებ ენას. ადმინისტრაციულ სამართალში წერილობით დოკუმენტებს, როგორც წესი, შინაარსობრივად სწორად აყალიბებს. შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად, ამომწურავად და გასაგებად გადმოსცემს აზრს. სისხლის სამართალში, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების პროექტები საჭიროებენ კორექტირებას და შესწორებას, თუმცა მთლიანობაში მას შესწევს უნარი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი პრობლემატიკა გაიგოს და შეძლოს მისი წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება საშუალო სირთულის გათვალისწინებით. მეტწილად ლაკონურად გადმოსცემს აზრს, თუმცა ზოგჯერ მისი ზეპირი ფორმი მსჯელობა არ არის დამაჯერებელი.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **18 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე, საქმეს ჯეროვნად და პასუხისმგებლობით უდგება, არის თავისი საქმის ერთგული და აქვს უნარი გაუმკლავდეს დიდი მოცულობის სამუშაოს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);

კანდიდატი მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში არცთუ ხშირად მონაწილეობს; აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, შეუძლია შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 9 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ შეხედულებებს გამოხატავდა ღიად და თავისუფლად. ამასთან, არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 0 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 85 ქულას.

ლევანი თევზაძე